

**PHONETIC CHANGES OF CONSONANTS IN THE SPEECH OF  
THE PHONE VALLEY**

თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ფრონის ხეობის მეტყველებაში

**Mariam Koberidze**

Doctor of Philology,

Professor of Gori State University,

Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,

+ 995577251275, maikoberidze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

**Abstract.** The present article analyzes the phonetic changes of consonants in the speech of the Fron Valley; similar and different linguistic phenomena in relation to literary Georgian and other dialects are sought; cases of sound loss, inclusion, metathesis and realization of sound alternation are identified. The changes are mainly experienced by consonant sounds close in place or type of production in nouns, verbs, adverbs, prepositions, conjunctions and particles.

In the speech of the Fron Valley, due to the influence of Mekher-Javakher and the tendency to unification, the alternation of the verb suffixes -am, -em, -om and the stem element m with the sound n has become established. The phonetic varieties of the complexes often differ depending on the villages. The study showed that the alternation of the sound n is more widespread in the villages of the Fron Valley: Dirbi, Dvani, Takhtisdziri, Breti, Sagolasheni, Aradeti. The alternation of suffixes av>am, ev>em, ov>om in the villages of Kartli bordering Imereti should be explained by the mutual influence of dialects.

Loss of sound is widespread. In the same word, at the same time, not only one sound is lost, but several. Often, due to the loss of sound, the meaning of the word becomes incomprehensible without context. The sounds v, m, r, l, s are mainly lost. The same person uses demonstrative pronouns both in abbreviated form (i, e) and in full (is, es...).

Phonetic changes of consonants in the speech of the Fron Valley are a common phenomenon characteristic of the Kartli dialect. Different phenomena can be explained by the influence of Upper Imereti and Meskhetian-Javakhian.

**Keywords:** Kartli dialect, Fron Valley, phonetic change of consonants, loss of sound, inclusion of sound, metathesis, alternation of consonants

მარიამ კობერიძე

ფილოლოგიის დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,

+ 995577251275, maikoberidze@gmail.com

<https://orcid.org/0000-0002-6604-1628>

**აბსტრაქტი.** წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ფრონის ხეობის მეტყველებაში; დაძებნილია მსგავსი და განსხვავებული ენობრივი მოვლენები სალიტერატურო ქართულსა და სხვა დიალექტებთან მიმართებაში; გამოვლენილია ბერის დაკარგვის, ჩართვის, მეტათეზისისა და ბერათმონაცვლეობის რეალიზაციის შემთხვევები. ცვლილებას უმთავრესად განიცდიან წარმოების ადგილისა თუ რაგვარობის მიხედვით ახლობელი თანხმოვანი ბგერები სახელებში, ზმნებში, ზმნისართებში, თანდებულებში, კავშირებსა და ნაწილაკებში.

ფრონის ხეობის მეტყველებაში მეხურ-ჯავახურის გავლენითა და უნიფიკაციის ტენდენციით დამკვიდრებულია **-ამ, -ემ, -ომ** ზმნური სუფიქსებისა და ფუძისეული მ ელემენტის მონაცვლეობა ნ ბგერით. კომპლექსთა ფონეტიკური ნაირსახეობანი ხშირად სოფლების მიხედვით განსხვავებულია. კვლევამ აჩვენა, რომ ნ ბგერის მონაცვლეობა უფრო გავრცელებულია ფრონის ხეობის სოფლებში: დირბი, დვანი, ტახტისძირი, ბრეთი, სალოლაშენი, არადეთი.

დიალექტთა ურთიერთზეგავლენით უნდა აიხსნას იმერეთის მოსაზღვრე ქართლის სოფლებში **ავ>ამ, ევ>ემ, ოვ>ომ** სუფიქსების მონაცვლეობა. ფართოდ არის გავრცელებული ბერის დაკარგვა. ერთსა და იმავე სიტყვაში, ერთსა და იმავე დროს იკარგვის არა მარტო ერთი ბგერა, არამედ რამდენიმე. ხშირად ბერის დაკარგვის გამო კონტექსტის გარეშე სიტყვის მნიშვნელობა გაუგებარი ხდება. ძირითადად იკარგვის ვ, მ, რ, ლ, ს ბგერები. ერთი და იგივე პირი ჩვენებით ნაცვალსახელებს ხმარობს როგორც შემოკლებული სახით (ი, ე), ისე სრულად (ის, ეს...).

ფრონის ხეობის მეტყველებაში თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენაა. განსხვავებული მოვლენები შესაძლებელია ზემოიმერულისა და მესხურ-ჯავახურის გავლენით აიხსნას.

**საკვანძო სიტყვები:** ქართლური დიალექტი, ფრონის ხეობა, თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილება, ბერის დაკარგვა, ბერის ჩართვა, მეტათეზისი, თანხმოვანთა მონაცვლეობა.

**შესავალი.** ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში თანხმოვნებს სამი რელევანტური მარკერი აქვს: 1. რაგვარობა; 2. საწარმოთქმო ადგილი (ლოკალური რიგი); 3. მჟღერობა-სიყრუე. შესაბამის პოზიციებში სამივე სადიფერენციაციო ნიშანი შეიძლება იცვალოს, ოღონდ მკაცრი კანონზომიერების გათვალისწინებით.

ქართლურში უპირატესად დაჩნდება თანხმოვანთა ერთსაფეხურიანი ცვლილების ტენდენცია და კომპლექსთა ფონეტიკური ნაირსახეობები. ერთი და იმავე თანხმოვანთკომპლექსის განსხვავებული ფონეტიკური ვარიაციები წარმოდგენილია კილოკავების, ხეობებისა და სოფლების ფარგლებში. გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებსა და უახლეს მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფრონის ხეობის ქართლურში თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლის ერთი და იგივე პრინციპი მოქმედებს

(იგულისხმება ბგერის დაკარგვა, ჩართვა, მეტათეზისი და ბგერათმონაცვლეობა), ამასთან ერთად შეინიშნება სხვა დიალექტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენებიც. ამის გამო, ბგერობრივ იდენტური შედგენილობის კომპლექსების განსხვავებული ქმედება სხვადასხვა შედეგით გამოვლინდება და გავლენას ახდენს ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელ ფონეტიკურ ცვლილებათა ტენდენციაზე.

**მეთოდი.** კვლევა ემყარება გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტებიდან საანალიზო მასალების შერჩევას, ზეპირმეტყველებაზე დაკვირვებას, სისტემატიზაციას და ანალიზს. გათვალისწინებულია ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიც სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფში. საკითხის შესწავლის პროცესში გამოყენებულია დაკვირვება, ემპირიული მასალის ანალიზი, კონტექსტის ანალიზი, ანკეტური გამოკითხვა, რაოდენობრივი კვლევა, აღწერისა და შედარება - შეპირისპირების მეთოდები. მოძიებული ემპირიული მასალები აღვწერეთ, შევუდარეთ ერთმანეთს ფრონის ხეობისა და სხვა კილოების სამეტყველო კოდები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით გამოვავლინეთ საანალიზო თანხმომავნათა ცვლილების სიხშირე და პოზიცია, საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

**შედეგები და მსჯელობა.** თანხმომავნა სხვა ბგერებთან კომბინატორული ურთიერთობისას შეიძლება შეიცვალოს მარკერი (რის გამოც ხდება თანხმომავნათა შენაცვლება) ან ელფერი (ამ შემთხვევაში თანხმომავნი არ იცვლება, მაგრამ დამატებით იძენს რაიმე ნიშან - თვისებას). ქართული ენის დიალექტებში უპირატესად დაჩნდება ერთსაფეხურიანი შენაცვლების შემთხვევები: რაგვარობის, ლოკალური რიგისა და მჟღერობა-სიყრუის მიხედვით (ჯორბენაძე, 1998: 298).

ფრონის ხეობის მეტყველებაში თანხმომავნათა ცვლილება სხვადასხვა სიტუაციისა და სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად გამოვლინდება.

ფუძისეული თანხმომავნი რეგრესული, დისტანციური, სრული ასიმილაციის შედეგად განიცდის ცვლილებას: **უკმაყოფილო>უყმაყოფილო, ძნელი>ძლეი.**

თანხმომავნათა ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ მომდევნო თანხმომავნის გავლენით ქ-დ ან კ-დ იცვლება. მაგ.: **დაგხვდეს>დაქხვდეს, მოგხვდეს>მოქხვდეს, გაგცეს>გაქცეს, მოგცემ>მოქცემ, შეგჩება>შექჩება, გპატიჟობ>კპატიჟობ.**

დისიმილაციას ძირითადად განიცდის რ ნარნარა ბგერა. მაგ.: **შარეულობა** „შალეულობა“, **წრეულ** „წლეულ“, **მარგალინი** „მარგარინი“.

ფრონის ხეობის მეტყველებაში ბგერათა დაკარგვას ფართო ხასიათი აქვს მიღებული. ეს მოვლენა იმდენად შორსაა წასული, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში, ერთსა და იმავე დროს იკარგვის არა მარტო ერთი ბგერა, არამედ რამდენიმე. ხშირია შემთხვევა, როდესაც კონტექსტის გარეშე გაუგებარი ხდება სიტყვის მნიშვნელობა.

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ იკარგვის უ-ს წინ. **უამბო** „ვუამბო“. მე უნდა **უამბო** ზღაპარი. **მუარო** „მოვუარო“. კარქა უნდა **მოუარო**.

ვ იკარგვის ო-ს წინ: **მოალ** „მოვალ“, **ამოიღებ** „ამოივიღებ“, **წამოიღებდი** „წამოვიღებდი“.

ვ იკარგება ევ სუფიქსთანაც: **გადამასმეინე** „გადამასმევინე“, **დამადგმეინე** „დამადგმევინე“.

ვ-ს დაკარგვის სხვადასხვა შემთხვევა: **ნატრიშვილი** „ნატვრისშვილი“, **თითონ** „თვითონ“, **ზეით** „ზევით“, **ქვეით** „ქვევით“.

მ-ს დაკარგვის ნიმუშები: თელი „მთელი“, ზე „მზე“, ძლავრი „მძლავრი“, გელი „მგელი“, შიერი „მშიერი“, თა „მთა“, ჭადი „მჭადი“, წყესაობა „მწყემსაობა“, ძინარე „მძინარე“, თორე „მთორემ“, რატო „მრატომ“... და სხვა.

რ-ს დაკარგვის ნიმუშები: შაშან „შარშან“, კვეციხი „კვერციხი“, ვეცხლი (ძველ ქართულშიც ასე იხმარებოდა) „ვერციხლი“, საზდოობენ „საზრდოობენ“, გადავკა „გადავკარ“, მათა „მართა“. რ-ს დაკარგვა ძირითადად შემჩნეულია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის. რ იკარგება ზრდ კომპლექსიან სიტყვებშიც: დაზდა „დაზრდა“, ასაზდოებს „ასაზრდოებს“ (კობერიძე, 2012: 121). მუჰაჯირთა შთამომავლების აჭარულში რ ბგერის დაკარგვას ხშირად თან სდევს მეზობელი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება (ფუტკარაძე, ტაბიძე, ლაბაძე, კეკუა, გეჯუა, ჩელები, & სალია-ბეშიროღლი, 2022 : 192).

ლ იკარგვის უმთავრესად კომპოზიტებში: შვიდისარი (მშვილდისარი), სახკარი (სახლ-კარი), გუთმისანი (გულთმისანი) ... გვაქვს სხვა შემთხვევებიც: ძიენ „ძლიერ“, ძან „ძალიან“.

თანხმოვანთა შორის ლ და რ ბგერების დაკარგვას იმერეთის მოსაზღვრე ქართლის ზონის სოფლების მოსახლეობის მეტყველებაში ხელს უნდა უწყობდეს ზემოიმერულის გავლენა. ქართლურში თანხმოვანთა შორის ეს ბგერები ასე ხშირად არ იკარგვის. ამ მხრივ, ფრონის ხეობის ქართლური უახლოვდება დასავლურ დიალექტებს. ამ კუთხის მეტყველებაზე გავლენას უნდა ახდენდეს ქართლურიც სალიტერატურო ენასთან ერთად, როცა ეს ბგერები შენარჩუნებულია თანხმოვანთა შორის (კობერიძე, 2012: 121).

ს ბგერის დაკარგვა თავს იჩენს მიცემითა და ნათესაობით ბრუნვებში. მიცემითი ბრუნვა: ბაბუა ქალად მისცემს; კობლემ ცოლ დაუძახა; წმუკუნ და ლაქუც დაუწყებენ. ნათესაობითი ბრუნვა: ამ ჭირნახული პატრონს ერთი ქალი ყამდა; ს იკარგვის ფუძისეული ტ-ს წინ: ტამბოლი „სტამბოლი“, ნეტიანი „ნესტიანი“. ს იკარგვის წ-ს წინაც: წორი „სწორი“, წორეთ „სწორეთ“ (მარტიროსოვი, 1939: 274).

ს იკარგვის ჩვენებით ნაცვალსახელებშიც: აილო და მისცა ი სავარცხელი; ე კაცი ძიელ გაჯავრდა. ერთი და იგივე მთქმელი ჩვენებით ნაცვალსახელებს ხმარობს როგორც შემოკლებული სახით (ი. ე), ისე სრულად (ის, ეს). შეუძლებელია ითქვას, თუ რომელი მათგანია გაბატონებული.

ს იშვიათად სუსტდება და იკარგება მიცემითა და ნათესაობითში სურამისწყლის სოფლებში (გიგინეიშვილი, 1939: 202).

გვხვდება სხვა თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევებიც: ნ- გაჩდა „გააჩნდა“, მაქანა „მანქანა“, უნა „უნდა“, ყანდეს „ჰყვანდეს“. სოფელ დირბის მეტყველებაში „უნდა“ მეშველი ზმნა ისე მარტივდება, რომ ერწყმის წინა სიტყვას. მაგ.: ძროხა'ნა აჭამო „ძროხას უნდა აჭამო“, ძაღლ' ნა დააპურო „ძაღლი'ნა დააპურო“. ეს მოვლენა დამახასიათებელია ჯავახურისათვის (კობერიძე, 2012: 122).

ვფიქრობთ, ბგერათა დაკარგვის ეს შემთხვევა მოსახლეობის მიგრაციის შედეგია, რადგან ბგერი გვარი დირბში ჯავახეთიდან არის გადმოსახლებული.

სიტყვაში ჩაერთვის არა მარტო ცალკეული ბგერა, არამედ მთელი მარცვალცი: ნ- თანთქარიძე „თათქარიძე“, გაანღვიძა „გააღვიძა“, შეუკანზმა (ცხენი) „შეუკანზმა“, მენკარე „მეკარე“, დანგროვდა „დაგროვდა“, ენგრე „ეგრე“, პამინდორი „პამიდორი“, ინძრა „იდრა“... ვ- შავშვივით „შაშვივით“, გაუჭივრა (საქმე) „გაუჭირა“...

მ- მცხვარი „ცხვარი“, მცა „ცა“, მგმირი „გმირი“, მდევი „დევი“, მცხვირი „ცხვირი“, ალუმბალი „ალუბალი“. უმცროსის ანალოგიით გვხვდება უმფროსი „უფროსი“. ს- სინტერესი „ინტერესი“, სწონა „წონა“ ...

ქვენატკოცასა და ფცაში დასტურდება ქ ბგერის ჩართვისა და ბგერა ჩ წარმოდგენილია ჩქ კომპლექსით სიტყვაში „ნორჩქი“, რაც სემანტიკურად იგივეა , რაც ლიტერატურული სიტყვა „ნორჩი“ (ჯიშიაშვილი, 1939: 209). სიტყვა „ნივთში“ ქ ისევე

ვითარდება ვ-ს წინ, როგორც გურულში, იმერულში, კახურსა და სხვა დიალექტებში (ნიქეთი, ნიქეთები, ნიქეთეულობა) (თოფურია, 1941: 234).

მეტათეზისის ნიმუშები: **დაზუკული** „დაკუზული“, **სურიელი** „სულიერი“, **გადრიელებული** „გადლიერებული“, **გაპრიელა** „გაპლიერა“, **ფშოთამს** „შფოთამს“, ავლის ხე „ალვის ხე“, **ხვახი** „ხახვი“, **ბანალი** „ბალანი“.

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა სიტყვის ერთსა და იმავე ფორმაში ერთი ბგერის შეცვლა სხვა ბგერით ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე. ამ პროცესის აღმნიშვნელად ქართველურ ენათმეცნიერებაში დასტურდება ტერმინები: „სუბსტიტუცია“, „ბგერათმენაცვლება“, „სპონტანური ანუ თვითნებური ბგერათცვლილება“, „შეუპირობებელი, სპონტანურ ბგერათცვლილება“, „ბგერათმონაცვლება“ (შანიძე 1980: 22; ახვლედიანი 1999: 228, 229; ნებიერიძე 1991: 118; ფუტყარაძე, & მიქაუტაძე, 2014: 140).

ერთადერთი „კანონზომიერება“ რომელსაც ადგილი აქვს ასეთ ბგერათცვლაში, მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც ერთმანეთს წააგვანან აკუსტიკურად (ახვლედიანი 1999: 228, 229). ბგერათმენაცვლება ანუ სუბსტიტუცია წარმოიქმნება ბგერათა არასწორი აკუსტიკური აღქმის ნიადაგზე; ერთმანეთს უმთავრესად ენაცვლებიან აკუსტიკურად მსგავსი ბგერები (ფუტყარაძე & მიქაუტაძე, 2014: 144).

ბგერათმენაცვლების ორი სახე გვაქვს: 1. ჩანაცვლება უცხოური ენიდან ნასესხებ სიტყვაში. მაგ., უცხოური ქ –ს ნაცვლად ფ-ს წარმოთქმა ქართულში: ციფრი – цифра; აფიცერი – офицер. ამის მიზეზია ქ –ს უქონლობა ქართულში. უცხოურ ქ –სთან ქართველის სმენისათვის ყველაზე ახლოა ქართ. ფ – არტიკულაციურადაც (ორივე ბაგისმიერია, ორივე ძლიერ ფშვინვიერია). ბგერათჩანაცვლების ეს სახე (ე. ი. ჩანაცვლება უცხოურ სიტყვებში) არ ცვლის მსესხებელი ენის არც ბგერათსისტემას და არც მის ფონეტიკურ იერს. 2. მშობლიური ენის ერთი ბგერა ჩაენაცვლება ამავე ენის სხვა ბგერას სიტყვაში, რომელიც შესაძლებელია იყოს როგორც უცხოური (ბერძ. ტიმოთე>კიმოთე, სადაც ტ-ს ჩაენაცვლება კ), ისე მშობლიური; მაგ., დ-ს შეიძლება ჩაენაცვლოს დიალექტობრივ ტ. მაგ., სიტყვაში რამდენი > რამტენი (ახვლედიანი 1999: 228- 229).

ფრონის ხეობის მეტყველებაში ერთმანეთს ენაცვლებიან უმთავრესად წარმოების ადგილისა თუ რაგვარობის მიხედვით ახლობელი ბგერები (აკუსტიკურად ერთი რიგის) სახელებში, ზმნებში, ზმნისართებში, თანდებულებში, კავშირებსა და ნაწილაკებში.

ხშირად ურთიერთმონაცვლეობენ ბაგისმიერი ბგერები:

**გ>მ:** **გადათომლა** უცეფა (დირბი); თუ ქარი ამოუვარდა, **თომლს** წამოიღებს (ტახტისძირი); დაუყენებია ჩემტელა **ულმაშები** (დვანი).

**მ>ვ:** **სიმავრი** აცხოვრებს მაგასა (არადეთი); **მწყევსობით** არჩენს ოჯახსა (ბრეთი).

**მ>ბ:** **ბრუდეს** იმიტომ ვუძახდით, რო ხვნი [ს] დროს კვალსა ვერ ავლებდა სწორათა (ტახტისძირი).

**გ>ზ:** **თავდაუბარცხნელი** დახეტილობს უგანრიგოთა (ბრეთი); **საბარცხელი** გადაუგდო იმ ჯადოქარსა. **ბარცხნა, დაბარცხნა, საბარცხალი** ჩვეულებრივია ქართლისათვის (თოფურია, 1925: 137). მსგავსი შემთხვევები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც (იმნაიშვილი ბ, 1974 : 158; მოწინიძე 1973: 116; ფუტყარაძე, 2016 : 50,178).

**ბ>ვ:** **ახლოვლები** ყან (ბრეთი); ხარივითა **ებმევა** უღელშია (დირბი).

**ბ>ფ:** დაიარება **შაფათობითა** (სალოლაშენი); არ ჩამოვილი **ორშაფათსა?** (დირბი).

**ფ>ბ** თავს **გააყოზინებს** აიქა (დირბი); კაისას მეხუმრება, დამაცადოს, **ამოვაყოზინებ** იქა (დვანი).

**ბ>პ:** მაგასა ტვინი აქ **დაპნეული** (სალოლაშენი); რაც დაუტოვეს, **გააპნია** სულა (დვანი).

გვხვდება გამონაკლისიც: **ბ** წყვილბაგისმიერ ბგერასთან მონაცვლეობს რბილსასისმიერი **გ (ბ>გ)**: რას **უუგნევი** მაგასა. მსგავსი მოვლენა დადასტურებულია კახურშიც (მარტიროსოვი, ზიმნაიშვილი, 1956:44).

წინაენისმიერი ბგერებიდან მონაცვლეობს **დ>ტ**: **ამტელა** თავი რისთვის აზია (დირბი).

ნაზალი (ცხვირისმიერი) ბგერები (**მ-ნ**) მონაცვლეობს კომპლექსებში: **მდ>ნდ**: არც კი გამიგია, **რანდენი** ხანი გასულა (ბრეთი); **ბოლონდი** ვერ გაატანა კაიკაცობა... ამ **დრონდი** დაიგვიანეს... (ბრეთი). **მწ>ნწ**: **წწიფე** პამიდვრის გემოი, ჩამყვა პირშია (**დირბი**); **მკ>ნკ**: **ნკვახე** ლაპარაკი იცის; **დანკრახული** აქ ლოყები ვაზის ტევნებივითა (დვანი); **მტ>ნტ**: ისე ცეკვავდა ჟულეს გოგოი, სულ **ინტვრეოდა** წელში (დირბი); **მს>ნს**: მოხედე, ვედრა, **გაინსო** (დირბი); **მდ>ნდ**: **უნდერებს** ბაიათებსა (სალოლაშენი); **მხ>ნხ**: წავიდა **ნხიარულობა**, დაუკათ! (დირბი); **შეანხანაგდნენ** ეს ბიჭი და დევი (დირბი); **ანხანაგები** გახდნენ (სალოლაშენი); **მთ>ნთ**: **საზანთრო** მოდის კაი (დვანი); **ზანთარი** რო მოგადგება კარსა, რა უნა ქნა (ტახტისძირი); ახალ **ნთვარეზე** იცის ეს ამბავი (დვანი); **დაანთავრა** სასწავლებელი და დაჯდა სახლში (დირბი); **მჯ>ნჯ**: **სანჯერ** აუტან მუშასა სანხარსა (ტახტისძირი); **იმ>ინ**: **ინ** დღეს ველარ გნახევით; **ინ** კაცმა ვერა თქვა რა... (ლონტი, 1980: 220); **ინ** წინებზე ვნახეი (დირბი). იმნარის ნაცვლად გვხვდება: **ინნაირად**. **მაგ.**, **ინნაირად** წაუვიდა საქმე, რო სულ გაყიდა ქონება. ზოგჯერ გვხვდება **ინაირად** ფორმაც (**მ>ნ-ს** დაკარგვით): **ინაირად** აწყო ცხოვრება, ყველა დანატრიდა. **ამ>ან**: **მუდან** დღე არი პური; **აქანდის** ვიცოდი; **არანც** და **არანც** არ გაულო კარი; **ანნაირია** ცხოვრება. ზოგჯერ ბგერის დაკარგვას აქვს ადგილი და ისმის ერთი ბგერა (ანაირია): **ანაირი** დაუნახავი არსად შემხვედრია (არადეთი). **ომ>ონ**: **იმიტონ** იცის ასე; **მაგიტონ** არ მითქვია, გეწყინოს (დვანი). **უმ>უნ**: **ზუნბული** აქვს ბატსა კარქი... (სალოლაშენი); დავსხდებოდით ქალები და გავარჩევდით ბატის, ქათმის **ზუნბულსა** (ტახტისძირი); **რუნბივით** დაუსივა თვალები (დვანი).

**-მდე//მდინ//მდის** თანდებული ვითარებითის გავრცობილ ფორმებში ყოველთვის გამოითქმის ასე: - **ა+ნდე//ა+ანდინ//+ -ა + ნდის**. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ დირბულში მდ კომპლექსი ჩვეულებრივ ნდ'-ს გვამღვეს: **რამდენი>რანდენი, შემდეგ>შენდექ**. დირბულთან ერთად ეს მოვლენა დასტურდება ფრონეს ხეობის სხვა სოფლებშიც (ლონტი, 1980: 220-223; კობერიძე, 2011 : 165).

მსგავსი შემთხვევები დამახასიათებელია მესხურ - ჯავახურისთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში ნარისა და მანის მონაცვლეობასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჯავახური მეტყველება ისწრაფვის თითქმის ყოველ სიტყვაში, რომელშიც მანი იხმარება, შეცვალოს ნარით, თუ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არ ზნელდება (ზოგჯერ არც ამას ერიდება. მაგალითად, „გუდანაკიდე“, „ანყოლი“...) (მიძიგური, 1954: 140-141; ბერიძე, 1988: 52).

თავისებურებით გამოირჩევა სოფელ დირბის მეტყველება, სადაც ბვერი გვარი გადმოსახლებულია მესხეთ - ჯავახეთიდან. სწორედ მესხურ-ჯავახურის გავლენით უნდა იყოს მონაცვლეობის ისეთი შემთხვევები, სადაც გვაქვს ჯერ ვ -ს მ-თი შენაცვლება, ხოლო შემდეგ ამ გზით მიღებული ნ-თი შენაცვლება (ავ→ამ→ან; ევ→ემ→ენ; ოვ→ომ→ონ). თუ ადრე ეს შემთხვევები მხოლოდ დირბული მეტყველების სპეციფიკას წარმოადგენდა, დღეს ჩვეულებრივ დამახასიათებელი მოვლენაა დირბის მახლობელი სოფლებისთვისაც (სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, ტახტისძირი, დვანი) (კობერიძე, 2020: 84, 85).

დიალექტთა ურთიერთზეგავლენისა და ფორმათა უნიფიკაციის თავალსაზრისით საინტერესოა აწმყოს თემის ნიშანთა მონაცვლეობის საკითხი. იმერულის მოსაზღვრე ქართლის სოფლებში იგრძნობა გაერფეროვნებისაკენ მიდრეკილება, რაც განსაკუთრებით შეინიშნება თანხმონით ელემენტებში, -ავ, -ევ, -ოვ სუფიქსებს ენაცვლება -ამ, -ემ, -ომ (იმნაიშვილი ა, 1974 ა : 84).

**ავ>ამ:** დახუჭამ და ვერ ხედამ (ხცისი); მამყამდა ქალი ლამაზი, მამყამდა, მამიხაროდა ; ხმალ დაჰკრამს კლდესა; ვირი დაჰყამდა ტყეშია და შემა მოქონდა, იმასა ყიდამდა... (მარტიროსოვი, 1939: 216).

იგივე -ავ ხშირად შეცვლილია -ან-ად (ავ>ამ>ან): აჰმენდა ცოლ-შვილსა; მაგის შენ კერანს რა უთხრა... (დვანი); არ ვიტყვი, რომ მამა მყანდაო და არც თქვა, რო შვილი მყანდაო; ერთმა თქვა, აბა, მე გავიხედან და დავინახან, თუ სად არისო... შენ არ იყა, რო წაყვანე არწივსა და ფრთებ ქვეშ ყანდიო (მარტიროსოვი, 1939 : 2016); დეცემი, მერე ნახან შენა ; ჩემ შვილზე იძახის: ისეთი გლახა ყანს თამილასა, ჩვენ თუ ეგეთი გლახა გყან ... ხედვითა კარგათა ვხედან; რასა ხატან ნან, რა კარგათა ხატან (დირბი); რთვილს რო გააგდებს, კაკალს მაშინ ჩამოვბერტყანთ (ტახტისძირი) (კობერიძე, 2024:212, 213).

**ევ>ემ:** ამ საქმეს ისევ წამოწმედენ; კარგს ვაჰმემდით და კარგს ვასმემდით (დირბი). გვაქვს უფრო შორს წასული მონაცვლეობაც (შუალობითი). **ევ>ემ>ენ:** ავად არის წენს; გუბაზი გაზეთს ხენდა; მაშითვე მოიწვენს კრებას; ქალი არ მოსდენდა სახში; ფულს არ მოგცენდენ; სხვას ვაძლენდით საქმელს; ფასები იწენდა დაბლა; კილო სიმინდათ ვაძლენდით; ეგენი ვისმეს რასმე მისცენდენ (ღლონტი, 1980: 222).

**ოვ>ომ:** რაც თავი მახსომს; ხბო წომდა. გვხვდება -ონ -იც (ოვ>ომ>ონ) ერთხელ მახსონს გამხთარი იყო; ძუძუს კი წონდა; მამა არ ათხონდა ( ღლონტი , 1980: 222).

**ამ>ან:** მე არ დამისხანს ძმარი; ყუთში ჩასვანს შვილსა; კაკალი ბევრს ისხანდა; თბილ წყალსა სვანდენ; ხმელ ლობიოს ჩავადგან (ღლონტი, 1980: 221). --ჯიგა, მოიხედე, მე უნდა წავიდე და საქმელსა დაუსხან?; ის არ შექანს; ტელეფონი გაქანებული რეკანს (დირბი); ბავშვი ვაშლს სჰანდა (ტახტისძირი); არა ვსვანთ იმ ჭის წყალსა (დირბი); ციცო, ნაკედლარებზე რასა თესან (დირბი)(კობერიძე, 2024:212, 213).

ქართულურში უთემისნიშნო ზმნები (ვგრეხ, ვწყვეტ, ვრეკ, ვდრეკ, ვწერ..) პირველი სერიის მწკრივებში გვხვდება თემის ნიშნით. აქაც ავ>ამ ნიშანს ენაცვლება ან ( ავ>ამ>ან). მაგ.: გარეთ ისეთი ქარია, გლეჯანს ყველაფერსა (დირბი); დაჯდები და წერან, წერან, რას წერან ამდენსა (ტახტისძირი); დიდ ქონები პატრონები იყვენ, აუარებელ ცხვარს კრეკანდენ (ტახტისძირი); მაწონსა ვარიანში ვდღვებანთ (დვანი); ყველა ჩვენა გვევლეფანს (სალოლაშენი).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაწილობრივ დაძებნილია ის კანონზომიერება, რაც მანის ნართით შეცვლის ფონეტიკურ პროცესს ახლავს მესხურსა და ჯავახურში. 1. მონაცვლეობენ მხოლოდ მოქმედებითი და საშუალი გვარის ზმნების თემის ნიშნები. 2. -ავ, -ებ, -ობ სუფიქსები იცვლება -ამ//ან, -ემ//ენ, -ომ//ონ ბოლოსართებით: ა) -ამ//ან იხმარება აწმყოსა და მომავლის მწკრივებში.

ბ) -ემ//ენ იხმარება უწყვეტელისა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში. -ებ ბოლოსართის შემცველი -ემ//ენ იხმარება აწმყოსა და მომავლის ფორმებში, თუ ზმნის ფუძე ერთმარცვლიანია (ვაქემ//ვაქენ); ვაკლებ//ვაკლენენ, იგემ//იგენს და არა: ვაქამ//ვაქან, ვაკლამ//ვაკლან (გამოკლების გაგებით).

გ) -ობ სუფიქსი აწმყოსა და მომავლის ფორმებში იცვლება -ომ//ონ ბოლოსართებით, მაგრამ უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში არის პარალელური ფორმები -ემ//ენ ბოლოსართებით: ვაქემდი//ვაქენდი ტიპის ზმნებისა, რომელთაც II კავშირებითი ო-თი აქვთ ნაწარმოები (ვაქრობ-გავაქრო) .... (ბერიძე, 1988:114).

ნ-სთან დაკავშირებულ პროცესებს დირბულთან ერთად იცნობს ფრონეს მარჯვენა ნაპირის ზოგიერთი სხვა სოფლის მცხოვრებთა მეტყველებაც. ეს მოვლენა ალ. ღლონტს დადასტურებული აქვს ბორჯომის ხეობაშიც (ბორჯომი, კორტანეთი, ახალდაბა, ნემვი (ღლონტი, 1980: 223). მესხურთან დაკავშირებით შ. მიძიგურს დამოწმებული აქვს ავ>ან: ხნანს, თესანს; ავ>ენ: ვხარშენდით, კვეცენდი. ასევე მესხურში გვხვდება ებ//ობ>ნ//ონ:

გაგიფუჭანს, აკეთანს. ამ პროცესის კერად მიაჩნია მას მესხური მიაჩნია (მიძიგური, 1946: 141-142).

ხშირია ნარის შენაცვლება მანთან მიმდებარეობაში. მაგ.: ისეთი **განხდარია**, ისეთი რო.. (ტახტისძირი); **ანდგარი** რას აკეთებს, რომ **დანჯდარმა** გააკეთოს (დირბი); **ანსობილი** ოჯახი აქ (ბრეთი).

ფრონეს ხეობის მეტყველებაში გვხვდება თანხმოვან ბგერათა კომპლექსებთან დაკავშირებული ბგერათშენაცვლების ის მაგალითები, რომლებიც მეტ-ნაკლებად დადასტურებულია ქართლურსა და ქართული ენის სხვა დიალექტებში. მაგალითად: **შტ→სტ**: ტასტი, მუსტარი, მუსტი, სტრაფი...**სტ→შტ**: შტრაფილი, შტვირი..**სკ→შკ**: ზაკუსკა, ქვეშენელი, ფაშკუნჯი..**შკ→სკ**: ჩასკა..**ჩკ/ჩქ**: ანიჭკა, ვანიჭკა; **კრ//ყრ**: კრაზანა→ყრაზანა→ყაზარა: **ყაზარების** ნაკბენივით გაუსივდა თავ-პირი. რუსული-ский> ცკი- ბროცკი.... (იმნაიშვილი, 1974 ა: 161).

იშვიათად გვხვდება ხმოვანთა მონაცვლეობა.მაგ.: **ოუე: იმტელა** რო მოიყრება, მაშინ როგორი იქნება (ტახტისძირი). **ოუუ**: ხეი სანამ **კუკურს** გამოიტანს, მანამ უნდა გასხლა... (დვანი); **იმიტუმ** აქ ორი თვალი, დაინახოს კარგთა (სალოლაშენი). **უუი**: ისეთი ნივთეცია, **მუზეიმში** უნა ინახებოდეს (ბრეთი).

ზმნის ბოლოკიდურ პოზიციაში თემის ნიშნებში თანხმოვანთა მონაცვლეობის გამოვლენის სიხშირის პროცენტული მაჩვენებელი: **ავ>ამ**-5%; **ავ>ან**-4%; **ევ>ემ** -6%; **ოვ>ომ** - 2%; **ოვ>ონ**-3%; **ამ>ან**-9%; **ემ>ენ**- 5%.

ამრიგად, ფრონის ხეობის მეტყველებაში თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებები საერთო ქართველურია, თუმცა მიგრაციული პროცესების გავლენის შედეგად გამოიკვეთა ქართლური დიალექტისაგან განსხვავებული შემთხვევებიც. მეზურ-ჯავახურის გავლენითა და უნიფიკაციის ტენდენციით დამკვიდრებულია **-ამ, -ემ, -ომ** ზმნური სუფიქსებისა და ფუძისეული მ ელემენტის მონაცვლეობა ნარით. **ვ-სა** და **მ-ს** მონაცვლეობა ქართლურისათვის ჩვეულებრივი პროცესია, **ვ-სა** და **ნ-ს** მონაცვლეობა უჩვეულო. საანალიზო მაგალითებში **ვ-ს** ჯერ **მ** შენაცვლება, უკანასკნელს კი **ნ** ( **ვ>მ>ნ**). თუ ადრე ეს შემთხვევა დირბულში დასტურდებოდა, დღეს ამ მოვლენას იცნობს დირბის მახლობელი სოფლები: სალოლაშენი, არადეთი, წვერი, ბრეთი, ტახტისძირი, დვანი...

დიალექტთა ურთიერთზეგავლენით უნდა აიხსნას იმერეთის მოსაზღვრე ქართლის სოფლებში **ავ>ამ, ევ>ემ, ოვ>ომ** სუფიქსების მონაცვლეობა. თანხმოვანთა შორის **ლ** და **რ** ბგერების დაკარგვას იმერეთის მოსაზღვრე ქართლის ზონის სოფლების მოსახლეობის მეტყველებაში ხელს უნდა უწყობდეს ზემოიმერულის გავლენა. ქართლურში თანხმოვანთა შორის ეს ბგერები ასე ხშირად არ იკარგვის. ამ მხრივ, ფრონის ხეობის ქართლური უახლოვდება დასავლურ დიალექტებს. ამ კუთხის მეტყველებაზე გავლენას უნდა ახდენდეს ქართლურიც სალიტერატურო ენასთან ერთად, როცა ეს ბგერები შენარჩუნებულია თანხმოვანთა შორის.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ახვლედიანი, გ. (1999). *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*. თბილისი.

ბერიძე, გ. (1988). *ქართული ენის ჯავახური კილო*. თბილისი.

გიგინეიშვილი, ივ. (1939). ანგარიში საზაფხულო მივლინებისა სურამის მიდამოებში.

*აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*. ტ. IV. ნაკვ. 3. თბილისი.

თოფურია, ვ. (1925). *ქართლური. არილი*. ტფილისი.

თოფურია, ვ. (1941). ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. *ენათმეცნიერების ინსტიტუტის მოამბე*. X. თბილისი.

იმნაიშვილი, გ (1974)ა. *ქართლური დიალექტი*. გამოკვლევა. I. თბილისი.

იმნაიშვილი, გ (1974) ბ. *ქართლური დიალექტი*. ტექსტები. II. თბილისი.



- კობერიძე, მ. (2011). არქაიზმები და ინოვაციები ფრონეს ხეობის ქართლურში. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული*. #1. გორი.
- კობერიძე, მ. (2012). ზგერათა დაკარგვის ზოგიერთი შემთხვევისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ გენადი ბურჭულაძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. გორი.
- კობერიძე, მ. (2020). ზგერათშენაცვლების შემთხვევები ფრონეს ხეობის მეტყველებაში. *ქართველური მემკვიდრეობა*. XXIV. ქუთაისი.
- კობერიძე, მ. (2024). *მავრცობი ხმოვნების პოზიცია და ფუნქცია შიდაქართლურში*. თბილისი: მერიდიანი.
- მარტიროსოვი, ა. (1939). ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში. *აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*. ტ. IV. ნაკვ. 3. თბილისი.
- მარტიროსოვი, ა., & იმნაიშვილი, გ. (1956). *ქართული ენის კახური დიალექტი (გამოკვლევა და ტექსტები)*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- ნებიერიძე, გ. (1991). *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი.
- ფუტყარაძე, ტ., ტაბიძე, მ., ლაბაძე, მ., კეკუა, ს., გეჯუა, კ., ჩელები, ფ., & სალია-ბეშიროლღო, მ. (2022). *ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით*. თბილისი: უნივერსალი.
- ფუტყარაძე, ტ., & მიქაუტაძე, მ. (2014). *ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა*. თბილისი.
- ფუტყარაძე, შ. (2016). *ჩვენებურების ქართული*. ბათუმი: აჭარა.
- ღლონტი, ა. (1980). *ფილოლოგიის ჩანაწერები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- შანიძე, ა. (1980). ტომი III. თბილისი.
- მიძიგური, შ. (1946). ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*. I. თბილისი.
- მიძიგური, შ. (1954). *ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან*. თბილისი.
- მოწენიძე, ქ. (1973). *ზემოიმერული კილოკავი*. თბილისი.
- ჯიშიაშვილი, ლ. (1939). ანგარიში 1938 წ. საზაფხულო მივლინებისა ხმურის რაიონის სოფ. ქვენატკოცასა, ტკოცასა და ფცაში. *აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე*. ტ. IV. ნაკვ. 3. თბილისი.
- ჯორბენაძე, ბ. (1998). *ქართული დიალექტოლოგია*. 2. თბილისი.

## REFERENCES

- akhvlediani, g. (1999). *zogadi ponet'ik'is sapudzvlebi [Basics of general phonetics]*. Tbilisi.
- beridze, g. (1988). *kartuli enis javakhuri k'ilo [The Javanese Kilo of the Georgian Language]*. Tbilisi.
- gigineishvili, iv. (1939). *angarishi sazapkhulo mivlinebisa suramis midamoebshi [Report on a summer trip to the Surami region] . ak'ademik'os n. maris sakhelobis enis, ist'oriisa da mat'erialuri k'ult'uris inst'it'ut'is moambe [Bulletin of the Academician N. Mari Institute of Language, History and Material Culture]*. Vol. IV. Issue. 3. Tbilisi.
- topuria, v. (1925). *kartluri [Kartli]. arili[Aril]*. T'pilis.
- topuria, v. (1941). *ponet'ik'uri dak'virvebani kartvelur enebshi [Phonetic observations in the Georgian languages]. enatmetsnierebis inst'it'ut'is moambe [Bulletin of the Institute of Linguistics]*. X. Tbilisi.
- imnaishvili, g. (1974)a. *kartluri dialekt'i. I. gamok'vleva. [Georgian dialect. I. research]*. Tbilisi: Metsniereba.

- imnaishvili, g. (1974)b. *kartluri dialekt'i [Georgian dialect]*. II. Tbilisi: Metsniereba.
- k'oberidze, m. (2011). arkaizmebi da inovatsiebi prones kheobis kartlurshi [Rkaisms and Innovations in the Georgian Language of the Prone Gorge]. *goris sakhelmts'ipo sasts'avlo universit'et'is shromebis k'rebuli [Collection of Proceedings of the Gori State University]*. #1. Gori.
- k'oberidze, m. (2012). bgerata dak'argvis zogierti shemtkhvevisatvis prones kheobis kartlurshi [On some cases of loss of sounds in the Georgian dialect of the Prone Gorge]. *goris sakhelmts'ipo sasts'avlo universit'et'is p'ropesor genadi burch'uladzisadmi midzghvnili sametsniero k'onperentsiis masalebi [Proceedings of the scientific conference dedicated to Professor Genadi Burchuladze of Gori State University]*. Gori.
- k'oberidze, m. (2020). bgeratshenatsvlebis shemtkhvevebi prones kheobis met'qvelebashi [Cases of sound substitution in the speech of the Prone Valley]. *kartveluri memk'vidreoba [Georgian heritage]*. XXIV. Kutaisi.
- k'oberidze, m. (2024). *mavrtsobi khmovnebis p'ozitsia da punktisia shidakartlurshi [Poziton and Function of Extending Vowels (Emphatic vowels) in Shidakartlian]*. Tbilisi: Meridiani.
- mart'irosovi, a. (1939). angarishi sazapkhuo mivlinebisa pronis kheobashi. [Report of summer business trip to Froni valley]. *ak'ademik'os n. maris sakhelobis enis, ist'oriisa da mat'erialuri k'ult'uris inst'it'ut'is moambe [Academician N. Mari Institute of Language, History and Material Culture, Moambe]*. IV, 3. Tbilisi
- mart'irosovi, a., & imnaishvili, g. (1956). *kartuli enis k'akhuri dialekt'i (gamk'vleva da t'ekst'ebi) [Kakhuri dialect of the Georgian language (research and texts)]*. Tbilisi: Georgian Academy of Sciences.
- neberidze, g. (1991). *enatmetsnierebis shesavali [Introduction to linguistics]*. Tbilisi.
- put'k'aradze, t., t'abidze, m., labadze, m., k'ek'ua, s., gejua, k., chelebi, p., & salia-beshiroghlu, m. (2022). *kartvelur-turkul samet'qvelo k'odta sherevis k'anonzomierebebi kartvelurenovani muhajirebis shtamomavalt met'qvelebis mikhedvit [The Kartvelian-Turkish Codemixingularities According to the Speech of Kartvelian –Speaking Muhajir' Descendants]*. Tbilisi: Universali.
- put'k'aradze, t., mikaut'adze, m. (2014). *kartuli samts'ignobro enis ponet'ik' [Phonetics of the Georgian Literary Language]*. Tbilisi.
- put'k'aradze, sh. (2016). *chveneburebis kartul [Chveneburebis' Georgian]*. Batumi: Achara.
- ghlont'i, a. (1980). *pilologis chanats'erebi. [Notes of a Philologist]*. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.
- shandze, a. (1980). *t'omi III [Volume III]*. Tbilisi.
- ddzidziguri, sh. (1946). khmovanta k'omp'leksebis ponet'ik'ur p'rotsesta saerto sapudzveli kartul k'iloeba da zanurshi [The common basis of phonetic processes of vowel complexes in Georgian Kilo and Zanuri]. *iberiul-k'avk'asiuri enatmetsniereba [Iberian-Caucasian Linguistics]*. I. Tbilisi.
- dzidziguri, sh. (1954). *dziebani kartuli dialekt'ologiidan [Researches in Georgian Dialectology]*. Tbilisi.
- dzots'enidze, k. (1973). *zemoimeruli k'ilok'avi. [Upper Imeretian Kilokavi]*. Tbilisi.
- jishiashvili, l. (1939). angarishi 1938 ts'. sazapkhuo mivlinebisa khshuris raonis sop. kvenat'k'otsasa, t'k'otsasa da ptsashi [Report of the 1938 summer business trip to the villages of Kvenatkotsa, Tkotsa and Ptsa in the Khshuri district]. *ak'ademik'os n. maris sakhelobis enis, ist'oriisa da mat'erialuri k'ult'uris inst'it'ut'is moambe [Academician N. Mari Institute of Language, History and Material Culture, Moambe]*. Vol. IV. Issue 3. Tbilisi.
- gorbenadze, b. (1998). *kartuli dialekt'ologia. [Georgian dialectology]*. 2. Tbilisi.